

ბრუცელოზის გავრცელების შესწავლა საქართველოში,
2018-2022 წლების მონაცემებით

ავტორი: ბექა ბეთხოშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც მოცემული სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემი ორიგინალური ნამუშევარია და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოყენებულ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.

მაგისტრანტი: ბექა ბეთხოშვილი

22.05.2023

აბსტრაქტი

ბრუცელოზი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, არის ყველაზე გავრცელებული ზოონოზი. ყოველწლიურად მსოფლიოში 500, 000-ზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება. დაავადება ძირითადად ვითარდება ისეთ გეოგრაფიულ არეალში, სადაც მეტადაა განვითარებული მეცხოველეობა და მესაქონლეობა. ასევე, შემთხვევათა მეტი რაოდენობა ფიქსირდება ეკონომიკურად ღარიბ ქვეყნებში. ბრუცელოზი საქართველოში, იმ დაავადებათა სიაშია, რომელზეც მიმდინარეობს რუტინული ეპიდზედამხედველობა. ის მიეკუთვნება სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებულ დაავადებებს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ბრუცელოზის გავრცელების თავისებურების შესწავლა დროისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. ასევე მოსახლეობის ცნობიერების შეფასება, ჯანდაცვის სექტორის ჩართულობის ჭრილში. საქართველოში ბრუცელოზის გავრცელების თავისებურების შესწავლის, მისი რისკ-ჯგუფების, სეზონურობის, ხელშემწყობი ფაქტორების დასადგენად და კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა აღწერითი ეპიდემიოლოგიური კვლევა, ხოლო მოსახლეობის ცნობიერების შეფასებისთვის-რაოდენობრივი კვლევა.

აღწერითი ანალიზური კვლევის 2018-2022 წლების საქართველოს მონაცემების მიხედვით, ინციდენტობის მაღალი მაჩვენებელი ძირითადად დაკავშირებულია ეპიდაფეთქებებთან. ბრუცელოზის გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით, გამოირჩეოდა აღმოსავლეთ საქართველო, კონკრეტულად კი კახეთის რეგიონი; დადასტურდა, რომ დაავადებას ახასიათებს სეზონურობა და შემთხვევათა მეტი რაოდენობა გამოვლინდა მაისისა და ივლისის თვეებში; დაავადება აღინიშნებოდა ყველაზე მეტი რაოდენობით 30-39 წლის ასაკობრივ კატეგორიაში.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 400-მა რესპონდენტმა. მათგან უმეტესობა იყო მამრობითი სქესის წარმომადგენელი. საქართველოს მოსახლეობის

უმეტესობისთვის უცნობი იყო ინფორმაცია ზოონოზური დაავადებებისა და კონკრეტულად ბრუცელოზის შესახებ, კვლევაში მონაწილე პოპულაციისთვის ასევე უცნობი იყო დაავადების სიმპტომები, შესაძლო გართულებები და სეზონურობა, მათ შორის იმ რეგიონებსა და რაიონებში, სადაც მეტად იყო ბრუცელოზი გავრცელებული. კვლევის შედეგებით დადასტურდა ჰიპოთეზის მართებულობა, საქართველოში ბრუცელოზის შესახებ ცნობიერების დონე დაბალია პოპულაციაში, მათ შორის იმ რაიონებსა და რეგიონებში, სადაც მეტადაა დაავადება გავრცელებული. კვლევის თანახმად დადგინდა, რომ ბრუცელოზით ინფიცირება დაკავშირებულია პროფესიულ საქმიანობასთან.

ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლის თანახმად ადამიანებს, რომლებიც მაღალი რისკის შემცველ საქმიანობას ეწევიან, უნდა მიეწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია, როგორც დაავადების, ასევე რისკ-ფაქტორებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ. მიღებული შედეგების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, ბრუცელოზის შემთხვევათა მატების პრევენციის მიზნით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების ჩართულობით პოლიტიკის გაძლიერება, საგანმანათლებლო ტრენინგების დანერგვა და მოსახლეობაში ცნობიერების დონის ამაღლება, განსაკუთრებით კი მაღალი რისკის მქონე რაიონებსა და რეგიონებში, სადაც მეტად არის დაავადება გავრცელებული.

Abstract

Brucellosis, according to the World Health Organization, is the most common zoonosis. More than 500,000 cases are recorded worldwide each year. The disease mainly develops in such a geographical area where animal husbandry and cattle breeding are more developed. Also, more cases are recorded in economically poor countries. Brucellosis in Georgia is on the list of diseases that are subject to routine epidemiologic surveillance. It belongs to the notifiable diseases.

The purpose of the study was to study the characteristics of the spread of brucellosis in Georgia according to time and location, as well as the evaluation of the awareness of the population, in terms of the involvement of the health sector. A descriptive epidemiological study was used to study the features of the spread of brucellosis in Georgia, to determine its risk groups, seasonality, contributing factors, and to conduct research, while a quantitative study was used to assess the awareness of the population.

According to the 2018-2022 Georgian data of the descriptive analytical study, the high incidence rate is mainly related to epidemics. According to the geographical distribution of brucellosis, Eastern Georgia stood out, specifically the Kakheti region; It was confirmed that the disease is characterized by seasonality and more cases were detected in the months of May and July; The disease was observed in the highest number in the age category of 30-39 years.

400 respondents participated in the quantitative research. Most of them were male. Information about zoonotic diseases and specifically brucellosis was unknown to the majority of the population of Georgia, the symptoms, possible complications and seasonality of the disease were also unknown to the population participating in the study, including in those regions and districts where brucellosis was more common. The results of the research confirmed the validity of the hypothesis, the level of awareness about brucellosis in Georgia is low among the population, including those districts and regions

where the disease is more common. According to the research, it was established that infection with brucellosis is related to professional activity.

Based on the analysis, recommendations were developed, according to which people engaged in high-risk activities should be provided with complete information about the disease, as well as risk factors and the use of personal protective equipment. Taking into account the obtained results, it is important to strengthen the policy with the involvement of public health centers, to introduce educational trainings and to raise the level of awareness among the population, especially in high-risk areas and regions where the disease is widespread, in order to prevent the increase in brucellosis cases.

სარჩევი

განაცხადი	i
აბსტრაქტი	ii
Abstract	iv
შესავალი	1
კვლევის მნიშვნელობა	3
კვლევის მიზანი	4
კვლევის ამოცანები	4
კვლევის ჰიპოთეზა	4
ლიტერატურის მიმოხილვა	5
კვლევის მეთოდოლოგია	11
კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა	11
კვლევის შეზღუდვები	13
კვლევის შედეგები	13
აღწერითი ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგები:	13
რაოდენობრივი კვლევის შედეგები:	21
კვლევის შედეგები/ინტერპრეტაცია	36
თევზის ფხის დიაგრამა	40
SWAT ანალიზი	42